პროექტი

საქართველოს კანონი

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, №№27–30, მუხ. 635) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ხ“ ქვეპუნქტი:

„ხ) ვეტერინარული სერტიფიკატი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატი.“.

2. 42-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცეს ბრძანება ‘‘საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ გასაცემი ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი